

თეა წულუკიანი ფონდ „ქართუს“ მიერ გადარჩენილ ოზურგეთის თეატრს ეწვია და თეატრის დასს შეხვდა



საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის, თეა წულუკიანის რევიონებში გასვლითი შეხვედრები გრძელდება. გასულ ხუთშაბათს, ზუგდიდის შემდეგ, მინისტრი ეწვია სსიპ ოზურგეთის ალექსანდრე წულუკიანის სახელობის პროფესიულ სახ-

ელმწიფო დრამატულ თეატრს, რომლის გახსნაც უახლოეს მომავალში საქართველოს პრემიერ-მინისტრის მონაწილეობით არის დაგეგმილი. თეა წულუკიანმა თეატრის ახლად რეაბილიტირებული შენობა დაათვალიერა და სპექტაკლის გენერალურ რეპეტიციას დაე-

სწრო. მინისტრმა, ასევე, ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის ხელმძღვანელობასა და დასის წევრებთან გამართა შეხვედრა. თეა წულუკიანმა აღნიშნა, რომ სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტია რევიონული თეატრების გაძლიერება. მინ-

ისტრმა ყურადღება გაამახვილა თეატრებს შორის თანამშრომლობისა და თანადგომის მნიშვნელობის შესახებ და იმედი გამოთქვა, რომ ოზურგეთის თეატრი კარს გაუღებს ყველა იმ თეატრს, რომელსაც ინფრასტრუქტურული პრობლემები აქვს და იქცევა კულტურულ ჰაბად, სადაც სხვადასხვა თეატრის წარმომადგენლები, თეატრმცოდნეები და ამ დარგის სპეციალისტები მოიყრიან თავს.

შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ გურიაში სახელმწიფო რწმუნებული გიორგი სახოკია, „თეატრალური საზოგადოების“ ხელმძღვანელი გიორგი გეგეჭკორი და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები.

ოზურგეთის პროფესიულ სახელმწიფო დრამატული თეატრის სრული რეაბილიტაცია საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ მხარდაჭერით 2016-2020 წლებში ჩატა-

რდა, რაზეც 20 მლნ ლარი დაიხარჯა. თეატრი თანამშრომლობისა და თანადგომის მნიშვნელობის შესახებ და ადაპტირებულია შშმ პირებისთვის. მინისტრმა პირადად დათვალიერა თეატრის დიდი და მცირე სცენა, სარეპეტიციო ოთახები, ახალი საგრიმირიოები, რადიო თეატრი და სამუზეუმო სივრცე. თეა წულუკიანმა საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ მადლობა

გადაუხადა კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი კულტურული ძეგლის რეაბილიტაციისა და გადარჩენისთვის.

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის ვიზიტი სამინისტროს სისტემაში არსებულ ორგანიზაციებში აქტიურად მიმდინარეობს და პროცესი მომავალშიც გაგრძელდება.





ქ ა რ თ უ ს ი

გურია

უბეგლესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გ ა ზ ე თ ი .

ყოველკვირეული გამოსვლა. № 11 (10381) 19 აპრილი 2021 წ. ფასი 60 თეთრი.

ოზურგეთის „მედალფას“ კლინიკაში „კოვიდ 19“-ზე 230-მდე აღამიანმა აიცრა



„ალიონი. ოზურგეთის „მედალფას“ კლინიკაში 230-მდე აღამიანმა გაიკეთა „კოვიდ 19“ საწინააღმდეგო ვაქცინა. „მედალფას“ მთავარი ექიმის დავით მდინარაძის თქმით, აცრა წარმატებით მიმდინარეობს, თავად აიცრა

„ასტრა ზენაკას“ ვაქცინით და კვირის 4 დღეს (ორშაბათი, ოთხშაბათი, პარასკევი, შაბათი) მიმდინარეობს აცრები.

– „მედალფას“ კლინიკაში ყველა პირობაა „კოვიდ 19“



ყველა ჩვილი აქ „ალუმდე“ აკვანში ქმნის სიმფონიას! სოფელი მაკვანეთი

უიშვიათესია სოფელი, რომელსაც ერთობლივად რამდენიმე ისეთი ეპითეტი ამკობდეს, როგორცაა „მომღერალთა სოფელი“, „ერისკაცთა სოფელი“, „მამულიშვილთა სოფელი“ და ა.შ. ვინც მაკვანეთსა და მაკვანეთელებს იცნობს, ალბათ, ყველა დამეთანხმება, რომ ამ სოფელმა და ამ სოფელელებმა ხსენებული ეპითეტები ღირსეულად დაიმსახურეს. ეს ის სოფელია, რომელიც ჩვენს ისტორიას გარჯით, ბგერითა და კალმით წერდა და წერს, თანაც ისე ლაზათიანად, ისე პარმონიულად, ისე სიტყვაკაზმულად, რომ ასჯერ ნანახი, მოსმენილი და წანაკითხიც რომ გქონდეს, მაინც ვერ ელევ. მოდი და, ნუ გამოუტყდები ასეთ სოფელს სიყვარულში.



ართველომ, ერმა და ბერმა დაიტირეს და მოაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონს მიაბარეს დიდი ანზორ ერქომაიშვილი – მაკვანეთელთა ლეიძლი შვილი, თანამედროვე მამულიშვილი, რომლის ღვაწლი არა მხოლოდ ქართული, არამედ მსოფლიო ფოლკლორშიც განუზომელია.

დიდი იყო მაკვანეთელთა სურვილი, მშობლიური სოფლის მიწას ჩაეხუტებინა ბატონი ანზორი, მაგრამ ქვეყანამ, ქართულმა საზოგადოებამ სხვანაირად გადაწყვიტა – ერისკაცს თავის მთავარ სამარადეაში მიუჩინა ადგილი, სადაც მხოლოდ განსაკუთრებულად დამსახურებული მოღვაწეები განისვენებენ.

კარგად გვესმის მაკვანეთელთა გულსტკენისა, მაგრამ ეს გადაწყვეტილება ლოგიკურია, რადგან ერისკაცი მხოლოდ მშობლიურ სოფელს არ ეკუთვნის, მთლიანად ერისაა. აფერუმ მაკვანეთს ასეთი შვილის აღზრდისთვის!



გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
- მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
- 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
- ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
- შიდა შავთერ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
- პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
- მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
- სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საკალო ფასი: 60 თეთრი, ხელმოწერა: ერთი თვით - 2,40 ლარი, სამი თვით - 7,20 ლარი, 6 თვით -14,40 ლარი, ერთი წლით - 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუთორიზაციის ნიშნულზე. ახლა ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარეკლამო კომპანია
რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani15@gmail.com
558 499100
საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარმანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515
კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060
რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ებისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა

დაინყეთ ყოველი ოჩხაბათი აციონზე
«ალიონით»

ოზურგეთის „მედალფას“ კლინიკაში „კოვიდ 19“-ზე 230-მდე ალამიანმა აიცრა

აქრის ჩასატარებლად. შენობის მე-4 სართულზე აცრის კაბინეტი, გამოყოფილია სათანადო ფართი, სადაც აცრის შემდეგ შესაძლებელია პაციენტმა ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ გაატარონ გარკვეული დრო. მცირე გართულებების რიცხვი უმნიშვნელოა, -გვითხრა დავით მდინარაძემ.

გასულ ოთხშაბათს, აცრის პროცესს დავესწარი. „ასტრა ზენეკას“ ვაქცინა გაიკეთა ჩონატაურის მუნიციპალიტეტის მერმა **ირაკლი კუჭავამ**, ოზურგეთის ყოფილმა პროკურორმა, 73 წლის **ვანტანე მიქაბაძემ**, ქ. ოზურგეთის №4 საჯარო სკოლის დირექტორმა **ტარიელ კალანდაძემ**, 83 წლის **ვენერა კოსტავამ**, ჩონატაურელმა **ქეთევან სიხარულიძემ** და კიდევ 30-ზე მეტმა ადამიანმა.

-უკვე 3 წელზე მეტია დიალექტის ვიკეთებ. მთისპირის თემში შემავალ დელეგურის უბანში რამ-

დენიმე ოჯახში დაფიქსირდა „კოვიდ 19“, გუშინ ექიმთა ბრიგადა იყო სოფელში ამოსული და ათეულობით ადამიანს გაუკეთეს ტესტი. უკანავა დელეგურთან ახლოს მდებარეობს და შიში როგორ არ გააჩნდება, რომ „კოვიდ 19“ არ დაგემართოს. საუკეთესო მომსახურება „მედალფას“ კლინიკაში. დღეს გამოკეთეს ვაქცინა. არანაირი გართულება არ მქონია-გვითხრა სოფელ უკანავას მცხოვრებმა **ჯემალ შავაძემ**.


ექიმ-იმუნოლოგის **ირინა ერქომაიშვილის** თქმით, ექიმთა ჯგუფი მობილიზებულია ნებისმიერი გართულების ასაცილებლად, გასული პარასკევის მდგომარეობით 230-მდე ადამიანი იყო აცრილი. აცრის პროცესი გრძელდება და მოუწოდა მოსახლეობას ვაქცინაციისაკენ.

28 აპრილს „ასტრა ზენეკას“ ვაქცინას გაზეთ „ალიონის“ ჟურნალისტებიც გაიკეთებენ.

ჭალა-ბოხაურის ტაძრის რესტავრაცია მიმდინარეობს

სახელმწიფო რწმუნებულმა გურიის მხარეში გიორგი სასოკიამ, მოადგილესთან ქეთევან მოისწრაფეშვილთან და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინსპექციის სამსახურის წარმომადგენელთან გურიის მხარეში დავით ხურციძესთან ერთად ჭალა-ბოხაურის ეკლესია მონახულა.

მე-19 საუკუნეში აგებულ ეკლესიას ფონდი „ქართუ“ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსთან ერთად გაუკეთებს რეაბილიტაციას. აღდგენითი სამუშაოების დასრულების შემდეგ, გურიის რეგიონს კიდევ ერთი განახლებული ტურისტული ობიექტი შეემატება.



კორუფციული რისკების შეფასების სისტემის დანერგვა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში

OGP-ის ადგილობრივი სამოქმედო გეგმის გათვალისწინებით, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტის ფარგლებში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში კორუფციული რისკების შეფასების სისტემის დანერგვასთან დაკავშირებით ონლაინ შეხვედრა ჩატარდა.

შეხვედრაზე კორუფციული რისკების შეფასების ადაპტირებული მეთოდოლოგიისა და ანტიკო-

რუფციული მექანიზმების დანერგვის შესახებ იმსჯელეს, რომელიც ოზურგეთის მუნიციპალიტეტს დასამტკიცებლად მიეწოდება.

პროექტი „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოსთან“ თანამშრომლობით განხორციელდება.

ონლაინ შეხვედრას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნოს წარმომადგენლები დაესწრნენ.

გიორგი სასოკია კობა კობალაძეს უხვდა



სახელმწიფო რწმუნებული გურიის მხარეში გიორგი სასოკია ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორს გენერალ მაიორს კობა კობალაძეს უხვდა. შეხვედრაზე იმჯელეს იმ საჭიროებების შესახებ, რომლებიც რეგიონში მცხოვრებ ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანებს აქვთ. ხაზი გაუსვა ვეტერანთა ინტეგრაციის მნიშვნელობას საზოგადოებაში და მათი პოტენციალის სწორად დაგეგმვასა და გამოყენებას.

მხარეებმა აღნიშნეს, რომ ყველა ეს გამოწვევა სამსახურის, ადგილობრივი მუნიციპალიტეტისა და საზოგადოების

ერთიანი ძალისხმევით უფრო ეფექტურად დაიძლევა.

გიორგი სასოკიამ კობა კობალაძეს რეგიონში მცხოვრები ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანების წინაშე არსებული გამოწვევების დაძლევაში მხარდაჭერა და თანადგომა აღუთქვა; დაისახა კონკრეტული სამოქმედო გეგმა რამდენიმე მიმართულებით.

შეხვედრას ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორის მრჩვეული ვლადიმერ იმნაძე და ახვე სამსახურის გურიის სამმართველოს უფროსი გელა ბაქანიძე დაესწრნენ.

ინფრასტრუქტურული პროექტები ოზურგეთში



საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით მოასფალტდება კიტა მეგრელაძის, მძები ერქომაიშვილების და კოსტავას ქუჩის შესახვევები.

სამუშაოები ამჟამად კიტა მეგრელაძის ქუჩაზე მიმდინარეობს, რომელსაც ოზურგეთის მერი, კონსტანტინე შარაშენიძე დაესწრო.

პროექტს, რომლის ღირებულებაც 508 994 ლარს შეადგენს შ.პ.ს „პალადა“ ახორციელებს.

სამი ოქრო და ერთი ვერცხლი ჩვენი!

13-14 აპრილს, ქ. რუსთავეში, ბერძნულ-რომაულ ჭი-დაობაში, ახალგაზრდებს შორის საქართველოს პირველობა გაიმართა.

პირველობაზე საუკეთესო შედეგი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანებასთან არსებულმა ჭიდაობის სექციის სპორტსმენებმა აჩვენეს:

გიორგი თოხაძე - 55 კგ - I ადგილი; **საბა მამალაძე** - 82 კგ - I ადგილი; **ცოტნე ცინცაძე** - 130 კგ - I ადგილი; **რეზო ესაძე** - 97 კგ - II ადგილი.

ჯამში კი ოზურგეთის ნაკრებმა მესამე გუნდური ადგილი აიღო. მოჭიდავეები ასპარეზობისათვის მწვრთნელებმა: კობა ბალავინოვმა,



ირაკლი და ვლადიმერ ზურაბიანებმა, უჩა მფავანაძემ და გურამ მაჭარაშვილმა მთაშადაეს.

ქ. რუსთავეში გამართული პირველობა ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებაა, სადაც ოზურგეთი საინტერესოდ იქნება წარმოდგენილი.

